# დასკვნა

## შპს „მიმდემი"-ის მიერ 2015 წლის 22 მაისის N111 ხელშეკრულების საფუძველზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი ანაზღაურების შესახებ

ქ. წყალტუბო 20.08.2015 წელი.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, გია სილაგაძემ განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 19 აგვისტოს N3111/31 წერილი, შპს „მიმდემი"-ის მიერ 2015 წლის 22 მაისს გაფორმებული № N111 ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოების შესრულებისა და შესაბამისი თანხის ანაზღაურების შესახებ.

ზემოაღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გაირკვა შემდეგი:

2015 წლის 22 მაისს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის N67 დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის წესით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მიმდემი"-ის შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმდა N111 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (ყუმისთავი, ზედა ჩუნეში) მზა ბეტონის მიწოდების შესყიდვას. N111 ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 28978 (ოცდარვა ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი) ლარით, სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2015 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით არსებული პერიოდი.

შპს „მიმდემი"-ის მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება N111 ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით გუმბრის ტერიტორიულ ერთეულში შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცხუნკურის თემში და აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებთა მიერ ხელმოწერილი შესრულების აქტები, ი/მ „ჯანი მამრიკიშვილი"-ის მიერ გაცემული ლაბორატორიული დასკვნები, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი ბეტონის ნიმუშები მიეკუთვნება „მ 300" მარკას, ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტომასალა.

გამომდინარე იქედან, რომ შპს „მიმდემი"-ის მიერ 2015 წლის 22 მაისს გაფორმებული N111 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობის დაცვით, გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმებული მასალა იძლევა საშუალებას მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2015 წლის 18 აგვისტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის წესით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის N30 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს „მიმდემი"-ის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის N31 755 ბრძანებით შექმნილ მიღება-ჩაბარების კომისიას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, შესაბამისობაშია 2015 წლის 22 მაისის N111 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეადგენს 28899 (ოცდა რვა ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

უფროსის მ/შემსრულებელი გია სილაგაძე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლისა და შესყიდვის ობიექტი (სამუშაოები, მომსახურების საქონელის) მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი №30

ქ. წყალტუბო 18.08. 2015 წელი

**სხდომას ესწრებოდა -**

| | |
|---|---|
| მამუკა მატარაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე |
| ლევან ჩაკვეტაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა დაზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი |
| კახა ფანცხავა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი კომისიის წევრი |
| გიორგი კრავეიშვილი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-დაგეგმარების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი |
| იონა ჯოჯუა | ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი |
| მერაბი კუხალაშვილი | ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების |

განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი

კობა გოგიძე — ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი

დღის წესრიგი -

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „მიმდემი"-ს შორის 2015 წლის 22 მაისის №111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.**

**მოისმინეს**

ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის იონა ჯოჯუას მოხსენება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „მიმდემი"-ს შორის 2015 წლის 22 მაისის №111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

კერძოდ აღნიშნავს 2015 წლის 10 აგვისტო №6477 წერილით მოგვმართა მიმწოდებელმა და ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (ყუმისთავი, ზედა ჩუნეში) მზა-ბეტონის მიწოდების მიღება-ჩაბარებასა და თანხის ანაზღაურებას. წარმოდგენილია მიღება-ჩაბარებისათვის საჭირო საბუთები, შესრულებული სამუშაოს აქტები, სასაქონლო ზედნადებები, ხელშეკრულებები, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს სამუშაოების მიღება- ჩაბარება.

**აზრი გამოთქვა:** კომისის წევრებმა კახაბერ ფანცხავამ და მერაბ კუხალაშვილმა აღნიშნეს, რომ სამუშაოები შესრულებულია ხელშეკრულების პირობების თანახმად, დადგენილ ვადაში და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს მიღება- ჩაბარება.

**ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინეს**

**1 მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „მიმდემი"-ს შორის 2015 წლის 22 მაისის №111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარება და შედგეს მიღება - ჩაბარების აქტი.**

კომისიის თავმჯდომარე: შამუკა მატარაძე

კომისიის წევრები: ლევან ჩაკვეტაძე

კახაბერ ფანცხავა

გიორგი კრავეიშვილი

მერაბი კუხალაშვილი

იონა ჯოჯუა

სხდომის მდივანი: კობა გოგიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (ყუმისთავი,ზედა ჩუნეში)
მზა ბეტონის მიწოდების
მიღება -ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. წყალტუბო 18 ----08----- 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერებმა ერთის მხრივ შ პ ს „მიმდემი " -ს დირექტორის ზურაბ მიქაძე და მეორეს მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31 755 ბრძანებით, შექმნილმა კომისიამ, შემადგენლობით: მამუკა მატარაძემ, ლევან ჩაკვეტაძემ, კახაბერ ფანცხავამ, გიორგი კრავეიშვილმა, იონა ჯოჯუამ, ზურაბ მურვანიძემ,მერაბი კუხალაშვილმა და კობა გოგიძემ მოვახდინეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ პ ს „მიმდემი" - ს შორის, 2015 წლის 22 მაისის №111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (ყუმისთავი, ზედა ჩუნეში) მზა ბეტონის მიწოდების მიღება-ჩაბარება ღირებულებით 28899 (ოცდარვათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შ პ ს „მიმდემი" - ს ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

ჩააბარა: ჩაიბარა:

შ პ ს „ მიმდემი " - ს

დირექტორი ზ.მიქაძე

კომისია

შემადგენლობით

მ.მატარაძე (კომისიის თავმჯდომარე)

ლ.ჩაკვეტაძე

კ.ფანცხავა

გ.კრავეიშვილი

ი.ჯოჯუა

ზ.მურვანიძე

მ.კუხალაშვილი

კ.გოგიძე (მდივანი)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემოსულია № 6477
10.08.2015

# შპს „მიმდემი"

ქ.ქუთაისი ი.ჭავჭავაძის გამზირი

ს/კ 412679061 სს „ლიბერთი ბანკი" ანგ № GE12LBO113151108960000

TEL. 598 744 774 ზურაბ მიქაძე

№ 26 10. 08. 2015 წ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბნ. კონსტანტინე მამისეისვილს:

ბატონო კონსტანტინე

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „მიმდემს" შორის გაფორმებული 2015 წლის 22 მაისს **№111** ხელშეკრულება სოფლებში: ყუმისთავში და სოფელ ზედა ჩუნეშ-ი მზა ბეტონის მ300 მიწოდება დასრულებულია.

გთხოვთ გაგვიფორმოთ მიღება-ჩაბარების აქტი და აგვინაზღაუროთ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა.

პატივისცემით შპს „მიმდემი"-ს დირექტორი: 41267906 /**ზ.მიქაძე**/

6477